გადაწყვეტილება

N გ-23-19/485
19/10/2023

485-გ-23-1-4-202310191150

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2014 წლის 6 მარტის №121/13 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში „კომისია“) აღნიშნავს, რომ შპს „საქართველოს ტელერადიოცენტრმა“ (რეგისტრირებულია მთაწმინდის რაიონის სასამართლოს მიერ 2000 წლის 25 სექტემბერს, რეგ. №06/4-464; ს.კ. №203829250) კომისიას მიმართა განცხადებებით (კომისიაში რეგისტრაციის №შ-23-7/2975, 18.09.23 და №შ-23-1/3245, 11.10.2023) და მოითხოვა სატელევიზიო სიგნალების გავრცელებაში ხარვეზებისა და წყვეტების აღმოსაფხვრელად, წარმოდგენილი ტექნიკური პარამეტრების გათვალისწინებით, ცვლილების შეტანა კომისიის 2014 წლის 6 მარტის №121/13 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, გადაწყვეტილების დანართის მე-2 სტრიქონის შემდეგნაირად ჩამოყალიბება:

2	თბილისი	41°41'44.49"N 44°47'05.92"E	კოჯორი	41°40'13.93"N 44°41'17.36"E	7194.500	7355.500	28.000	ch3	161.000	H	9	80	12

კომისია აღნიშნავს, რომ კომისიის 2014 წლის 6 მარტის №121/13 გადაწყვეტილებით, შპს „საქართველოს ტელერადიოცენტრს“ მიენიჭა რადიოსარელეო სიხშირეები საქართველოს ტერიტორიაზე, რადიოსარელეო სადგურების ფუნქციონირებისთვის, საზოგადოებრივი მაუწყებლის სიგნალის ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელით გასავრცელებლად. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების მე-2 სტრიქონის თანახმად შპს „საქართველოს ტელერადიოცენტრი“ ფლობს სარელეო სიხშირეებს თბილისი კოჯორის მიმართულებით შემდეგი ტექნიკური პარამეტრებით:

2	თბილისი	41°41'44.49"N 44°47'05.92"E	კოჯორი	41°40'13.93"N 44°41'17.36"E	22386.000	23394.000	28.000	ch21	1008.000	V	9	80	12

კომისიამ შეისწავლა შპს „საქართველოს ტელერადიოცენტრის“ მოთხოვნა და კომისიის აპარატის სპექტრის და ტექნოლოგიის დეპარტამენტის სამსახურებრივი დასკვნის საფუძველზე (№23-10-1895, 16.10.2023) აღნიშნავს, რომ შესაძლებელია განხორციელდეს ცვლილებების შეტანა კომისიის შესაბამის გადაწყვეტილებებში და შპს „საქართველოს ტელერადიოცენტრს“ მიენიჭოს მოთხოვნილი სიხშირული რესურსი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის და კომისიის 2014 წლის06 მარტის №121/13 გადაწყვეტილების შესაბამისად, კომისიამ კენჭისყრის შედეგად, ერთხმად

გადაწყვიტა:

ქეთევან წამებულის მამზ.
ბოჭორმის ქ. 50/18, თბილისი, 0144

+995 32 292 16 67
+995 32 292 16 25

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

1. შევიდეს ცვლილება კომისიის 2014 წლის 6 მარტის №121/13 გადაწყვეტილების დანართში და აღნიშნული დანართის მე-2 სტრიქონი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

2	თბილისი	41°41'44.49"N 44°47'05.92"E	კოჯორი	41°40'13.93"N 44°41'17.36"E	7194.500	7355.500	28.000	Ch3	161.000	H	9	80	12

2. დაევალოს კომისიის ადმინისტრაციას (ნ. შოვნაძე) გადაწყვეტილების შპს „საქართველოს ტელერადიოცენტრისთვის“ გაგზავნა და კომისიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.comcom.ge) გამოქვეყნება;

3. დაევალოს შპს „საქართველოს ტელერადიოცენტრს“ გადაწყვეტილების მიღებიდან 20 სამუშაო დღის განმავლობაში, უზრუნველყოს კომისიის რადიოელექტრონული მოწყობილობების რეესტრში, ამავე რეესტრით გათვალისწინებული ინფორმაციის ელექტრონული წესით ასახვა (ვებ მისამართი: http://reestri.comcom.ge/); რადიოელექტრონული მოწყობილობების რეესტრით გათვალისწინებული პარამეტრების ცვლილება რეესტრში ასახულ იქნას ცვლილების განხორციელებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში;

4. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე;

5. დაევალოს კომისიის აპარატის სპექტრის და ტექნოლოგიის დეპარტამენტს (ა. ქარუმიძე) და იურიდიული დეპარტამენტის ავტორიზაციისა და ლიცენზირების ჯგუფს (ქ. სულიაშვილი) შპს „საქართველოს ტელერადიოცენტრისთვის“ მინიჭებული სიხშირეების კომისიის უწყებრივ რეესტრში აღრიცხვა;

6. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) შპს „საქართველოს ტელერადიოცენტრისთვის“ ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში;

7. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის სპექტრის და ტექნოლოგიის დეპარტამენტს (ა. ქარუმიძე) და იურიდიული დეპარტამენტის ავტორიზაციისა და ლიცენზირების ჯგუფს (მ. ქადეიშვილი).

ვახტანგ აბაშიძე

თავმჯდომარე - მ.შ.

ნათია კუკულაძე

წევრი

ივანე მახარაძე

წევრი